ა(ა)იპ
ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი
ორგანიზაცია – ინტელექტუალური საკუთრების მფლობელთა ასოციაცია
წესდება

(2025 წლის 15 სექტემბრის რედაქცია)

1. ზოგადი დებულებები

1.1. ა(ა)იპ „ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია – ინტელექტუალური საკუთრების მფლობელთა ასოციაცია“ (შემდგომში „ასოციაცია“) დაფუძნებულია ნებაყოფლობით, უშუალოდ საავტორო და მომიჯნავე უფლებების მფლობელების მიერ, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - ასოციაციის სამართლებრივი ფორმით და წარმოადგენს ორგანიზაციას, რომელიც მართავს ქონებრივ უფლებებს კოლექტიური მართვის საფუძველზე.

1.2. წესდება წარმოადგენს ასოციაციის დამფუძნებელთა შორის დადებული სადამფუძნებლო შეთანხმების ნაწილს, რომელიც გამოხატავს მათ ურთიერთთანმხვედრ ნებას და სავალდებულო ძალის მქონეა დამფუძნებლებისა და წევრებისთვის.

1.3. ასოციაცია შექმნილია წინამდებარე წესდებით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, საავტორო და მომიჯნავე უფლებების მფლობელთა, მათი უფლებამონაცვლეების და მემკვიდრეების უფლებების დაცვის და მართვისთვის.

1.4. ასოციაცია არ წარმოადგენს შემოქმედებით კავშირს და შესაბამისად, მასზე არ ვრცელდება საქართველოს კანონი „შემოქმედებითი კავშირების მუშაკების“ შესახებ.

1.5. ასოციაციის არსებობა, მართვა და ფუნქციონირება ხდება საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების, ,,საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და წინამდებარე წესდების (შემდგომში - ,,წესდება“) შესაბამისად.

1.6. ასოციაციის სრული დასახელებაა - ა(ა)იპ „ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია – ინტელექტუალური საკუთრების მფლობელთა ასოციაცია“. შემოკლებით (ისმა).

1.7. ასოციაციის სრული დასახელება ინგლისურ ენაზე: Collective Management Organization-Intellectual Property Owners Association. შემოკლებით (IPOA).

1.8. ასოციაცია არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირია. ასოციაცია წარმოშობილად ითვლება და იურიდიული პირის სტატუსს იძენს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

1.9. ასოციაციას საკუთრებაში გააჩნია განცალკევებული ქონება, ის შეიძლება იყოს სასამართლოში მოსარჩელე და მოპასუხე, მას შეუძლია, საკუთარ სახელზე შეიძინოს ქონებრივი და არაქონებრივი უფლებები და ასოციაციის საქმიანობის მიზნების შესაბამისად განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით და წესდებით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებები.

1.10. ასოციაცია იქმნება განუსაზღვრელი ვადით და მოქმედებს ტერიტორიული შეზღუდვების გარეშე.

1.11. ასოციაციას გააჩნია ანგარიშსწორების და სხვა, მათ შორის, სავალუტო ანგარიშები ბანკებში, საქართველოს ტერიტორიაზე ან/და საზღვარგარეთ.

1.12. ასოციაციის დამფუძნებლები, წევრები, ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი/პირები პასუხს არ აგებენ ასოციაციის ვალდებულებებისთვის. ასოციაცია მისი დამფუძნებლების, წევრების, ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის/პირების ვალდებულებებისთვის პასუხს არ აგებს. ასოციაციის პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი თავისი ქონებით.

1.13. ასოციაცია უფლებამოსილია მისი საქმიანობის მიზნების განსახორციელებლად შექმნას მისი წარმომადგენლობები, კომერციული და არაკომერციული, მათ შორის, საერთაშორისო იურიდიული პირები, ფონდები, საავტორო ან/და მომიჯნავე უფლებების სფეროში. ასოციაცია უფლებამოსილია ფლობდეს გამომცემლობებს, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, კულტურულ-საგანმანათლებლო ობიექტებს, რომლებიც იმოქმედებს წესდებით დადგენილი მიზნების შესაბამისად, საავტორო და მომიჯნავე უფლებების სფეროში.

1.14. ასოციაცია უფლებამოსილია ეწეოდეს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას. რომლიდან მიღებული მოგებაც უნდა მოხმარდეს მისი მიზნების რეალიზებას. ასეთი საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების განაწილება ორგანიზაციის დამფუძნებლებს, წევრებს, შემომწირველებს, აგრეთვე ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირებს შორის დაუშვებელია. ორგანიზაცია უფლებამოსილია მისი საქმიანობის განსახორციელებლად შეიძინოს/მიიღოს მატერიალური და არამატერიალური ქონება, შემოწირულობები.

1.15. ასოციაცია უფლებამოსილია ეწეოდეს კანონით აუკრძალავ ნებისმიერ საქმიანობას, მიუხედავად იმისა, არის თუ არა წესდებით გათვალისწინებული.

1.16. ასოციაცია უფლებამოსილია ფლობდეს/შეიძინოს/მიიღოს/ისარგებლოს მატერიალური და არამატერიალური ქონებით, მათ შორის, საკუთრების უფლებით ფლობდეს შენობებს, მიწის ნაკვეთებს, რეკრეაციულ ობიექტებს. საკუთრების ან სარგებლობის უფლებით. ასოციაცია უფლებამოსილია შეიძინოს და გაასხვისოს, იჯარით გასცეს და გაუშვას ბრუნვაში ნებისმიერი სახის მოძრავი და უძრავი ქონება, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

1.17. წინამდებარე წესდების დებულებების შესაბამისად ასოციაციის მიერ მიღებული ქონება წარმოადგენს ასოციაციის საკუთრებას და ექვემდებარება დაცვას.

1.18. ასოციაციის დამფუძნებლები არიან:

ნინო ქარსელაძე-ჟორდანია (დაბ. 11.04.1991წ. თბილისი. პ.ნ01017023100, მის: ქალაქი თბილისი, მერაბ კოსტავას ქუჩა, N 54),

ჯემალ სეფიაშვილი (დაბ. 19.02.1947წ. თბილისში, პ.ნ01026000467, მის: თბილისი მ.კოსტავას I შეს. N 11 ბ. 12),

არჩილ ფურცელაძე (დაბ. 05.12.1979წ. თბილისში. პ.ნ01012010532, მის: ქალაქი თბილისი, ვაზისუბნის დასახლება, I მიკრო/რაიონი, კორპუსი 9, ბინა 5),

მამუკა მახნიაშვილი (დაბ. 20.06.1971წ. თბილისში. პ.ნ01009007356, მის: თბილისი მისამართის გარეშე),

ზურაბ ხაჩიძე (დაბ. 03.01.1979წ. ბორჯომში, პ.#11001000684, მის: ქალაქი თბილისი, მერაბ კოსტავას ქუჩა, N 54),

გიორგი მამაცაშვილი (დაბ. 05.01.1978წ. თბილისში. პ.ნ01001012745, მის: ქალაქი თბილისი, დიღმის მასივი, V კვარტალი, კორპუსი 17, ბინა 21),

დავით ხუჯაძე (დაბ. 25.06.1975წ. თბილისში, პ.ნ01030026625, მის: თბილისი ელ.ახვლედიანის ქ. N 22/4),

ბორის შხიანი (დაბ. 29.12.1977წ. ქუთაისში. პ.ნ01024006651, მის: ქალაქი თბილისი, ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის ქუჩა, N 18, ბინა 60),

გიორგი პავლიაშვილი (დაბ. 26.12.1988წ. თბილისში. პ.ნ01031006351, მის: ქალაქი თბილისი, ძმები კაკაბაძეების ქუჩა, N 9),

მარინე მალაზონია (დაბ. 14.11.1962წ. თბილისში. პ.ნ01020005622, მის: ქალაქი თბილისი, დიმიტრი ბაქრაძის ქუჩა, N 13, ბინა 7),

ლაშა ნიქაბაძე (დაბ. 31.10.1974წ. ქუთაისში. პ.ნ60002001088, მის: ქალაქი ქუთაისი, ლუკა ასათიანის III შესახვევი, N 14),

გურამ გორელიშვილი (დაბ. 16.10.1950წ. თბილისში. პ.ნ01009004260, მის: თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. II კვ. კორ. 33 ბ. 36),

რუსუდან მორჩილაძე (დაბ. 30.05.1970წ. თბილისში. პ.ნ01020003953, მის: ქ. თბილისი),

მარიკა თხელიძე (დაბ. 12.03.1988წ. თბილისში. პ.ნ01024031558, მის: თბილისი პეკინის გამზ. N 3 ბ. 9ა),

ბორის შხიანი (დაბ. 01.07.1950წ. ქუთაისში. პ.ნ01005000675, მის: ქალაქი თბილისი, ლევ ტოლსტოის ქუჩა, N 15),

ნანა ცინცაძე (დაბ. 14.09.1952, პ/ნ01010004459, მის: ქალაქი თბილისი, სიმონ ჩიქოვანის ქN18, კორპუსი, 4, ბინა 22).

2. ასოციაციის მიზნები და საქმიანობის საგანი, ამოცანები და ფუნქციები

2.1. ასოციაციის საქმიანობის ძირითადი საგანია მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების ავტორების, შემსრულებლების, ფონოგრამებისა და ვიდეოგრამების დამამზადებლების, აგრეთვე საავტორო და მომიჯნავე უფლებებით დაცული სხვა ობიექტების გამოყენებისთვის უფლების მფლობელების (შემდგომ – უფლებამფლობელი) ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მართვა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2.2. ასოციაციის საქმიანობის საგანი, ამოცანები და ფუნქციებია:

2.2.1. უფლებამფლობელების ქონებრივი უფლებების კოლექტიური მართვა, საავტორო და მომიჯნავე უფლებებით დაცულ ნაწარმოებებზე და მათ ნაწყვეტებზე, მათ შორის, მუსიკალურ ნაწარმოებებზე (ტექსტით და მის გარეშე), დრამატულ და მუსიკალურ-დრამატულ ნაწარმოებებზე, სახვითი ხელოვნების, დეკორატიულ-გამოყენებითი, ხელოვნების, ლიტერატურული, სასცენო, ქორეოგრაფიის, პანტომიმის ნაწარმოებებზე, ფოტოგრაფიული და ფოტოგრაფიის ანალოგიური საშუალებებით შექმნილ ნაწარმოებებზე, მათ საჯარო შესრულებასთან, საჯაროდ გადაცემასთან მიმართებაში, ან სხვაგვარად საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი პირველი და ხელახალი გადაცემის ჩათვლით, კაბელით ან სხვა ანალოგიური საშუალების გამოყენებით;

2.2.2. აუდიოვიზუალური ნაწარმოებების ავტორების (თანაავტორების), მათი მემკვიდრეების ქონებრივი უფლებების მართვა, საავტორო ჰონორარების მიღებასთან დაკავშირებით, იმ პირებისგან, რომლებიც, საქართველოს კანონმდებლობით ვალდებულნი არიან გადაიხადონ ჰონორარი (ჰონორარის გადამხდელები - მაუწყებლობის ორგანიზაციები, კინო, თეატრი და ა.შ.), ასეთი ნაწარმოებების გამოყენებისთვის მათ შორის და არამარტო საჯარო შესრულების და საჯარო გადაცემის ჩათვლით (პირველი და ხელახალი გადაცემა, კაბელით ან სხვა საშუალების გამოყენებით);

2.2.3. ნაწარმოებების ავტორების (თანაავტორების) მათი მემკვიდრეების ქონებრივი უფლებების მართვა, ამ ნაწარმოებების ნებისმიერი მატერიალური ფორმით გამოყენებისას, წარმოებისას, მათ შორის, აუდიო და ვიდეოჩანაწერების ჩათვლით, ორგანზომილებიანი ნაწარმოების სამგანზომილებიანი ასლების და სამგანზომილებიანი ნაწარმოებების ორგანზომილებიანი ასლების დამზადებისას, ელექტრონული (მათ შორის, ციფრული), ოპტიკური ან სხვა მექანიკური ფორმით, რომელიც გამოდგება წაკითხვისთვის;

2.2.4. სახვითი ხელოვნების და ფოტოგრაფიული ორიგინალი ნაწარმოებების ავტორების და მათი მემკვიდრეების ქონებრივი უფლებების რეალიზაცია, მართვა, ნაწარმოებების ყოველი მომდევნო გაყიდვისას, ორიგინალი ნაწარმოებების პირველადი გასხვისების შემდეგ;

2.2.5. აუდიოვიზუალური ნაწარმოებების ავტორების, შემსრულებლების, ფონოგრამების დამამზადებლების, მათი მემკვიდრეების, უფლებამონაცვლეების ქონებრივი უფლებების განხორციელება, ფიზიკური პირების მიერ აუდიოვიზუალური ნაწარმოების ან ფონოგრამის ან სხვა ნაწარმოებების პირადი სარგებლობისთვის რეპროდუცირების შემთხვევაში ჰონორარის მისაღებად;

2.2.6. მოგების მიღების მიზნით გამოშვებული ფონოგრამების დამამზადებლების, მათი მემკვიდრეების ან უფლებამონაცვლეების უფლების მართვა, ჰონორარის მიღებასთან დაკავშირებით, ასეთი ფონოგრამების საჯარო შესრულების და საჯარო გადაცემისთვის, პირველი და ხელახალი გადაცემის ჩათვლით, კაბელით ან სხვა საშუალების გამოყენებით;

2.2.7. მოგების მიზნით გამოშვებულ ფონოგრამებზე ჩაწერილი ნაწარმოებების შემსრულებლების, მათი მემკვიდრეების უფლებების დაცვა, ასეთი ფონოგრამების საჯარო შესრულებისა და საჯაროდ გადაცემის დროს, პირველი და განმეორებითი გადაცემის ჩათვლით, კაბელით ან სხვა საშუალების გამოყენებით;

2.2.8. ქონებრივი უფლებების მართვა საავტორო და მომიჯნავე უფლებების ობიექტების განსხვავებულად ან სხვაგვარად გამოყენების შემთხვევაში და ასევე საავტორო და მომიჯნავე უფლებების მფლობელთა უფლებების რეალიზაციის სხვა შემთხვევებისას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

2.2.9. საავტორო და მომიჯნავე უფლებების ობიექტების უკანონოდ გამოყენების პრევენცია და საავტორო და მომიჯნავე უფლებების მფლობელთა ქონებრივი უფლებების კოლექტიური დაცვა;

2.2.10. საქართველოში საავტორო და მომიჯნავე უფლებების სფეროს განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია, მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება;

2.2.11. საავტორო და მომიჯნავე უფლებამფლობელთა შემოქმედებითი, კულტურული, საგანმანათლებლო და სოციალური საჭიროებების მხარდაჭერის უზრუნველყოფა სხვადასხვა პროექტების განხორციელებით, მათ შორის მიზნობრივი ფონდების შექმნის გზით.

2.3. უფლებამფლობელი უფლებამოსილია ასოციაციას მართვისთვის გადასცეს ის უფლებები, რომელიც შედის ასოციაციის საქმიანობის სფეროსა და ამოცანებში.

2.4. ასოციაცია უფლებამოსილია, დამოუკიდებლად ან მესამე პირების, მათ შორის, კომერციული ორგანიზაციების ჩართულობით, განახორციელოს საქველმოქმედო საქმიანობა, გაუწიოს სოციალური და მატერიალური დახმარება საქართველოს კულტურის და ხელოვნების მოღვაწეებს, მისი კომპეტენციის ფარგლებში.

2.5. ასოციაცია უფლებამოსილია განახორციელოს სხვა საქმიანობა თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, რომელიც გადაცემული აქვს უფლებამფლობელისგან და/ან აკრძალული არ არის საქართველოს კანონმდებლობით და/ან მინიჭებული აქვს შესაბამისი აკრედიტაციის შედეგად.

3. ასოციაციის საქმიანობა

3.1. ასოციაცია საქმიანობას ახორციელებს საჯაროობის და გამჭვირვალობის პრინციპების საფუძველზე.

3.2. წინამდებარე წესდებით განსაზღვრული მიზნების და ამოცანების მისაღწევად, ასოციაცია თავისი უფლებამოსილების ფარგლებში:

3.2.1. დებს ხელშეკრულებებს საავტორო ან/და მომიჯნავე უფლებების მფლობელებთან ან მათ უფლებამონაცვლეებთან, მემკვიდრეებთან, კოლექტიურ საფუძველზე მათი ქონებრივი უფლებების მართვის შესახებ და კისრულობს ვალდებულებას შეაგროვოს, გაუნაწილოს და გადაუხადოს ჰონორარი, კანონმდებლობით და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად; ასოციაცია არ არის უფლებამოსილი უარი განაცხადოს საავტორო ან/და მომიჯნავე უფლებების მფლობელ(ებ)თან, ან მათ უფლებამონაცვლეებთან ქონებრივი უფლებების მართვის შესახებ ხელშეკრულების დადების თაობაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც უფლებამფლობელის უფლებების მართვა არ შედის ასოციაციის უფლებამოსილებაში ან ასეთი ხელშეკრულების გაფორმება ეწინააღმდეგება კანონმდებლობას ან ზიანის მომტანია ასოციაციისთვის;

3.2.2. გასცემს ლიცენზიებს ასოციაციის საქმიანობის სფეროში საავტორო და მომიჯნავე უფლებებით სარგებლობის თაობაზე, ხოლო საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში - ნებისმიერი პირის მიერ საავტორო ან/და მომიჯნავე უფლებებით სარგებლობის შემთხვევაში, ჰონორარის შეგროვებას და განაწილებას ლიცენზიის გაცემის გარეშე;

3.2.3. დებს ურთიერთწარმომადგენლობის ხელშეკრულებებს სხვა, მათ შორის, უცხო ქვეყნის ანალოგიურ ორგანიზაციებთან, რომლებიც კოლექტიურ საფუძველზე მართავენ შესაბამის ქონებრივ უფლებებს;

3.2.4. უფლებამოსილია მოითხოვოს და მიიღოს მოსარგებლეებისგან საავტორო და/ან მომიჯნავე უფლებების შესაბამისი ობიექტებით სარგებლობის შესახებ ანგარიშ(ებ)ი, ასევე სხვა ცნობები და დოკუმენტები, რაც აუცილებელია ჰონორარის შეგროვების და განაწილებისთვის. დოკუმენტაციის ჩამონათვალი და წარდგენის პირობები შესაძლოა განისაზღვროს ასოციაციის მიერ მოსარგებლეებთან დადებული შეთანხმებებით/ხელშეკრულებებით ან ასოციაციის რეგულაციით ან კანონმდებლობით;

3.2.5. უფლებამოსილია მოითხოვოს და მიიღოს ჰონორარი იმ პირებისგან, რომლებსაც საქართველოს კანონმდებლობით ეკისრებათ ვალდებულება გადაიხადონ თანხები უფლებამფლობელებისთვის ჰონორარის გასაცემად;

3.2.6. უფლებამოსილია მოითხოვოს სახელმწიფო ორგანოებიდან/დაწესებულებებიდან და სხვა ორგანიზაციებიდან ნებისმიერი სახის ინფორმაცია ან/და დოკუმენტაცია რაც აუცილებელია, ჰონორარების შეგროვების, განაწილებისა და გადახდისთვის;

3.2.7. იცავს წინამდებარე წესდების 3.2.4 და 3.2.6. პუნქტების შესაბამისად მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურობას კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

3.2.8. საქართველოს კანონმდებლობის, წინამდებარე წესდების, ასოციაციის მართვის ორგანოების, საბჭოების და ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე პასუხისმგებელი პირების მიერ მათი კომპეტენციის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად, შეგროვილ ჰონორარს ანაწილებს და იხდის უფლებამფლობელთა შორის;

3.2.9. რეგულარულად, არაუგვიანეს 9 თვისა, იმ ფინანსური წლის დასრულებიდან, რომელშიც შეგროვდა ჰონორარი უფლებამფლობელების სასარგებლოდ, ახორციელებს ჰონორარის გადახდას უფლებამფლობელებისთვის და/ან კოლექტიურ საფუძველზე უცხო ქვეყნის ანალოგიური ორგანიზაციებისთვის, ურთიერთწარმომადგენლობის შესახებ ხელშეკრულებების შესაბამისად, გარდა კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევებისა. ასოციაციის გადაწყვეტილებით შესაძლოა განისაზღვროს ჰონორარის განაწილების უფრო მცირე პერიოდულობა;

3.2.10. საავტორო ან/და მომიჯნავე უფლებების მფლობელების სასარგებლოდ ჰონორარის გადამხდელებისგან ან მოსარგებლეებისგან მიღებული ჰონორარებიდან აკავებს თანხებს, ასოციაციის მოქმედი წესებით განსაზღვრული ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს შეგროვილი ჰონორარის 20%-ისა, რაც ემსახურება მისი საქმიანობის განხორციელებას;

3.2.11. საავტორო და/ან მომიჯნავე უფლებების მფლობელების სასარგებლოდ, ასოციაციის მიერ კონკრეტული მიზნობრიობით ფონდ(ებ)ის შექმნის შემთხვევაში, ფულად სახსრებს რიცხავს მიზნობრივ ფონდ(ებ)ში შეგროვებული ჰონორარიდან, რომელიც არ უნდა აჭარბებდეს:

- წესდების 2.2.5 პუნქტით გათვალისწინებულ უფლებათა მართვის სფეროში უფლებათა რეალიზაციიდან შეგროვილი ჰონორარის - 30%-ს;
- სხვა შემთხვევებში უფლებამფლობელთა ქონებრივი უფლებების და/ან უფლებების რეალიზაციიდან შეგროვილი ჰონორარის -15%-ს.

3.2.12. უზრუნველყოფს გაუნაწილებელი ჰონორარის გამოყენებას კანონმდებლობით გათვალისწინებული, მათ შორის მიზნობრივ ფონდ(ებ)ში გადარიცხვის გზით;

3.2.13. საავტორო ჰონორარის გადახდასთან ერთად, უფლებამფლობელების მოთხოვნის შემთხვევაში უგზავნის ინფორმაციას, მათი უფლებებით სარგებლობის, უფლებების კოლექტიური მართვისთვის დაკავებული თანხების, ასევე ასოციაციის მიერ შექმნილ ფონდში გადარიცხული ფულადი სახსრების შესახებ. ამასთან ასეთი ინფორმაციის გაცემისას მაქსიმალურად დაცული უნდა იყოს კონკრეტულ უფლებამფლობელთა პერსონალური და შემოსავლის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურად დაცვის სტანდარტი;

3.2.14. მონიტორინგს უწევს საავტორო და/ან მომიჯნავე უფლებების ობიექტებით სარგებლობას.

3.2.15. ახორციელებს, სამართლებრივ ქმედებებს, რაც აუცილებელია უფლებამფლობელების უფლებების დაცვის და აღსრულებისთვის. უფლებამფლობელების უფლებების და ინტერესების ფარგლებში უზრუნველყოფს წარმომადგენლობას სასამართლოსა და ადმინისტრაციულ ორგანოებში;

3.2.16. კონსულტაციებს უწევს უფლებამფლობელებს და მოსარგებლეებს, მათ მიერ შექმნილი საავტორო და/ან მომიჯნავე უფლებების ობიექტების გამოყენებასთან დაკავშირებულ საკითხებზე;

3.2.17. აორგანიზებს და/ან მონაწილეობს სამეცნიერო და სოციოლოგიური კვლევების ჩატარებაში;

3.2.18. ატარებს და/ან მონაწილეობს კულტურული, საგანმანათლებლო, შემეცნებითი და სამეცნიერო პროგრამების განხორციელებაში;

3.2.19. აწარმოებს და რეგულარულად ანახლებს მისი წევრების რეესტრს;

3.2.20. ინფორმაციას და დოკუმენტაციას მისი საქმიანობის შესახებ, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად აქვეყნებს საკუთარ ვებგვერდზე;

3.2.21. ახორციელებს ნებისმიერ სხვა ქმედებას, რაც არ ეწინააღმდეგება ასოციაციის წესდების მიზნებს, არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით და მიმართულია წინამდებარე წესდების მიზნების მიღწევისკენ.

4. ჰონორარის განაწილების ძირითადი პრინციპები და წესები

4.1. ასოციაციის მიერ კოლექტიურ საფუძველზე ქონებრივი უფლებების მართვის საქმიანობის ფარგლებში შეგროვილი ჰონორარი ნაწილდება პროპორციულობის, არადისკრიმინაციულობის, მიზანშეწონილობის და სამართლიანობის პრინციპებთან შესაბამისობით, რაც გამოიხატება შემდეგში:

4.1.1. უფლებამფლობელის კუთვნილი ჰონორარის ოდენობა განისაზღვრება მისი საავტორო და/ან მომიჯნავე უფლებების ობიექტებით სარგებლობის მონაცემების პროპორციულად, ან სხვა ობიექტური მაჩვენებლების მიხედვით, რომლებიც განსაზღვრავს საავტორო და/ან მომიჯნავე უფლებების შესაბამისი ობიექტების გამოყენების წილს ასოციაციის საქმიანობის სფეროში ქონებრივი უფლებების გამოყენების საერთო მოცულობაში (პროპორციულობის პრინციპი);

4.1.2. ჰონორარის თანხა, რომელიც ეკუთვნის უფლებამფლობელს, არ შეიძლება განისაზღვროს უფლებამფლობელის პირადი მახასიათებლებიდან გამომდინარე (ასოციაციის წევრობა, ეროვნული, რელიგიური ან გენდერული კუთვნილება, მოქალაქეობა, მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და სხვა სუბიექტური თავისებურებები), ასევე მის საკუთრებაში არსებული საავტორო ან მომიჯნავე უფლებების ობიექტების შემოქმედებითი ფასეულობიდან ან სხვა მახასიათებლებიდან გამომდინარე (არადისკრიმინაციულობის პრინციპი);

4.1.3. ჰონორარის თანხა, რომელიც ექვემდებარება უფლებამფლობელისთვის გადახდას, უნდა აღწევდეს არსებით ზომას, იმ ხარჯებთან შედარებით, რომლებიც ასოციაციამ გასწია მის შეგროვებაზე, ასევე ხარჯებთან, რომლებიც საჭიროა მისი გადახდისთვის. საჭიროების შემთხვევაში, ეკონომიკური მიზანშეწონილობის უზრუნველსაყოფად, ასოციაცია აგროვებს ჰონორარის თანხებს კონკრეტული უფლებამფლობელის ინტერესებში, თანმიმდევრული პერიოდების განმავლობაში, სანამ ჰონორარის საერთო სიდიდე არ მიაღწევს აუცილებელ დონეს (მიზანშეწონილობის პრინციპი);

4.1.4. ჰონორარის განაწილებას საავტორო ან მომიჯნავე უფლებების სხვადასხვა მფლობელებისთვის, საფუძვლად უნდა ედოს საავტორო და მომიჯნავე უფლებების ობიექტებით სარგებლობის რაოდენობრივი მაჩვენებლები და ის უნდა უზრუნველყოფდეს ჰონორარის საერთო თანხის სამართლიანად განაწილებას ყველა უფლებამფლობელს შორის, რომელთა ქონებრივ უფლებებიც გამოიყენეს (სამართლიანობის პრინციპი).

4.2. ასოციაცია ახორციელებს შეგროვილი ჰონორარის განაწილებას გონივრულად მაქსიმალური სიხშირით, რომელიც შეიძლება რეალიზებულ იქნას არსებული შესაძლებლობების გათვალისწინებით, რათა უზრუნველყოს საავტორო და/ან მომიჯნავე უფლებების მფლობელების მიერ ჰონორარის მიღება მაქსიმალურად მოკლე ვადაში, შესაბამისი ობიექტების სარგებლობის დაფიქსირების შემდეგ. ჰონორარის განაწილების პერიოდულობა განისაზღვრება ასოციაციის გამგეობის გადაწყვეტილებით, ასოციაციის საერთო კრების მიერ დადგენილი ჰონორარის განაწილების ზოგადი წესის შესაბამისად. შესაძლებელია სხვადასხვა ტიპის ჰონორარის სხვადასხვა პერიოდულობით განაწილება.

4.3. უფლებამფლობელების კუთვნილი ჰონორარის განსაზღვრისთვის აუცილებელი გამოთვლების წესები, შესაბამისი ქონებრივი უფლების კატეგორიის ან სახის მიხედვით, საავტორო და/ან მომიჯნავე უფლებების ობიექტებით სარგებლობის ფორმიდან ან

ხერხიდან გამომდინარე, განისაზღვრება ასოციაციის გამგეობის გადაწყვეტილებით, ასოციაციის საერთო კრების მიერ დამტკიცებული წესების შესაბამისად.

4.4. ასოციაცია უზრუნველყოფს საავტორო და მომიჯნავე უფლებების ობიექტებით სარგებლობის შესახებ იმ მონაცემების აღრიცხვას და შენახვას, რომელთა საფუძველზეც ხდება შეგროვილი ჰონორარის განაწილება და გადახდილი ჰონორარის განაწილების შესახებ მონაცემების ინფორმაციის ხელმისაწვდომობას წესდების, რეგულაციების და კანონმდებლობის პირობების დაცვით.

5. ასოციაციის წევრობა

5.1. ასოციაციის წევრობა შესაძლებელია მხოლოდ ნებაყოფლობით.

5.2. ასოციაციის წევრები უფლებამოსილნი არიან მონაწილეობა მიიღონ ასოციაციის საქმიანობაში.

5.3. ასოციაციის წევრები შეიძლება იყვნენ საავტორო და/ან მომიჯნავე უფლებების მფლობელები - ფიზიკური პირები, მათი მემკვიდრეები, იურიდიული პირები, მათი უფლებამონაცვლეები, რომლებიც თავიანთ ქონებრივ უფლებებს გადასცემენ ასოციაციას, კოლექტიური მართვისთვის, სცნობენ ასოციაციის წესდებას, იზიარებენ ასოციაციის მიზნებსა და ამოცანებს/ფუნქციებს და გამოთქვამენ მზადყოფნას, ხელი შეუწყონ მათი ქონებრივი უფლებების განხორციელებას.

5.4. ასოციაციას არ აქვს უფლება წერილობითი დასაბუთების გარეშე უარი განუცხადოს უფლების მფლობელს ასოციაციის წევრად მიღებაზე.

5.5. ასოციაცია მისი წევრების მიმართ თანაბარი და არადისკრიმინაციული დამოკიდებულების გარანტიას იძლევა.

5.6. ასოციაციის წევრობის აუცილებელი პირობაა უფლებამფლობელის მიერ ასოციაციისთვის თავისი უფლებების სამართავად გადაცემა ან კანონით პირდაპირ გათვალისწინებული საფუძველი. გაწევრიანების შემთხვევაში უფლებამოფლობელმა უნდა უზრუნველყოს ასოციაციისთვის შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმება და საჭირო დოკუმენტაციის (კატალოგი, პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, სამკვიდრო მოწმობა და სხვა) წარმოდგენა, რომელიც თან დაერთვება ხელშეკრულებას. ასოციაცია უფლებამოსილია უფლებამფლობელს მოსთხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია და/ან ინფორმაცია.

5.7. ასოციაციის წევრად მიღება ხდება უფლებამფლობელის განცხადების და/ან შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების საფუძველზე, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა. ასოციაციის წევრობის შეწყვეტა ხდება წესდებით ან კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

5.8. ასოციაციის წევრობაზე განცხადების/მოთხოვნის და/ან ქონებრივი უფლებების ასოციაციისთვის გადაცემის თაობაზე ხელშეკრულების დადების და თანდართული დოკუმენტაციის ასოციაციისთვის წარდგენა შესაძლებელია როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული ფორმით ასოციაციის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე გაგზავნით.

5.9. იურიდიული პირები, რომლებიც ასოციაციის წევრები არიან, მონაწილეობენ ასოციაციის საქმიანობაში მათი წარმომადგენლ(ებ)ის მეშვეობით.

5.10. ასოციაციის დამფუძნებლებს გააჩნიათ ასოციაციის წევრის უფლებები და მოვალეობები.

5.11. ასოციაციიდან გარიცხვა ხდება ასოციაციის მუდმივმოქმედი ხელმძღვანელი ორგანოს - გამგეობის გადაწყვეტილებით.

5.12. ასოციაციის წევრს უფლება აქვს:

5.12.1. მონაწილეობა მიიღოს (პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით) ასოციაციის საქმიანობაში, საერთო კრების მუშაობაში, ასოციაციის წესდებით და სხვა ნორმატიული აქტებით დადგენილი წესით; წარმომადგენელს შეუძლია წარმოადგინოს ასოციაციის წევრების განუსაზღვრელი რაოდენობა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

5.12.2. აირჩიოს და/ან არჩეულ იქნას უფლებამფლობელთა საბჭოში, სამეთვალყურეო საბჭოში ან გამგეობაში, რომლებსაც ასოციაცია ქმნის მისი წევრების ინტერესებისთვის; ამასთან დანიშნულ იქნას ასოციაციის სტრუქტურით გათვალისწინებულ ნებისმიერ თანამდებობაზე;

5.12.3. მიიღოს ასოციაციისგან კონსულტაციები, მოითხოვოს დარღვეული საავტორო და/ან მომიჯნავე ქონებრივი კოლექტიური უფლებების დაცვა ასოციაციის უფლებამოსილების ფარგლებში;

5.12.4. ასოციაციასა და უფლებამფლობელს შორის ქონებრივი უფლებების ასოციაციისთვის ხელშეკრულებით გადაცემის და ყველა საჭირო დოკუმენტაციის (კატალოგები და სხვა) შემთხვევაში მიიღოს შესაბამისი ჰონორარი, მისი საავტორო და/ან მომიჯნავე უფლებებით სარგებლობისთვის;

5.12.5. მონაწილეობა მიიღოს ასოციაციის სხვადასხვა პროგრამებსა და ღონისძიებებში, მისი კვალიფიკაციის და გამოცდილების შესაბამისად;

5.12.6. შეიმუშაოს რეკომენდაციები, ასოციაციის საქმიანობასთან დაკავშირებით;

5.12.7. გაეცნოს ყველა აუცილებელ ინფორმაციას, გადაწყვეტილებას და მასალას, რომლებიც შეეხება ასოციაციის საქმიანობას, მათ შორის, წლიურ ანგარიშებს, შემოწმების შედეგებს და სხვა ინფორმაციას ასოციაციის საქმიანობის შესახებ, კონფიდენციალურობის დაცვით. წევრს შესაძლოა უარი ეთქვას ინფორმაციის გაცემაზე თუ არსებობს საფრთხე, რომ იგი გამოყენებული იქნება ასოციაციის და/ან მისი წევრების ინტერესების საზიანოდ;

5.12.8. ნებაყოფლობით შეწყვიტოს ასოციაციის წევრობა;

5.12.9. დადგენილი წესით მიმართოს ასოციაციის მიერ დაფუძნებულ ფონდს და/ან ასოციაციას შემოქმედებითი, სოციალური, კულტურული და საგანმანათლებლო საჭიროებების უზრუნველსაყოფად. აგრეთვე ისარგებლოს ასოციაციის და ფონდის მიერ შეთავაზებული მომსახურებით;

5.12.10. განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილებები.

5.13. ასოციაციის წევრი ვალდებულია:

5.13.1. დაიცვას ასოციაციის წესდება, შეასრულოს და დაემორჩილოს ასოციაციის მართვის ორგანოების გადაწყვეტილებებს;

5.13.2. დაიცვას ასოციაციის სახელი, საქმიანი რეპუტაცია, ავტორიტეტი და ქონება, არ განახორციელოს იმგვარი ქმედებები (უმოქმედობა), რაც გამოიწვევს ასოციაციისთვის ზიანის მიყენებას ან არსებითად გაართულებს ან შეუძლებელს გახდის ასოციაციის - მიზნების მიღწევას;

5.13.3. ხელი შეუწყოს ასოციაციის მიზნებისა და ფუნქციების/ამოცანების განხორციელებას;

5.13.4. დროულად წარადგინოს ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია ასოციაციის საქმიანობასთან დაკავშირებული ამოცანების გადასაწყვეტად;

5.13.5. შეიტანოს საწევრო გადასახადები ასოციაციაში, ასოციაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით დადგენილი წესის შესაბამისად (ასეთის არსებობისას);

5.13.6. ასოციაციას წარუდგინოს ინფორმაცია, იურიდიული და ფაქტობრივი მისამართის, საკონტაქტო ტელეფონის, ელექტრონული ფოსტის მისამართის, საბანკო ანგარიშის და ამ მონაცემთა ცვლილებების თაობაზე, და ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რაც დაკავშირებულია წევრის მიერ ასოციაციიდან ჰონორარის მიღების საკითხთან, ამ ცვლილებებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში;

5.13.7. არ გააკეთოს განცხადებები ასოციაციის სახელით და/ან არ იმოქმედოს ასოციაციის წინასწარი წერილობითი ნებართვის გარეშე;

5.13.8. განახორციელოს სხვა უფლება–მოვალეობები საქართველოს კანონმდებლობით, წინამდებარე წესდების ან ასოციაციის შიდა ნორმატიული დოკუმენტების, ასევე, ასოციაციასთან გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად.

5.14. ასოციაციის წევრობის შეწყვეტის საფუძვლები:

5.14.1. ასოციაციის წევრის ინიციატივით საკუთარი წერილობითი განცხადება;

5.14.2. ასოციაციის წევრის გარდაცვალება, სასამართლოს მიერ გარდაცვლილად გამოცხადება ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად ცნობა;

5.14.3. წევრი იურიდიული პირის ლიკვიდაცია:
5.14.4. ასოციაციიდან გარიცხვა, წესდებით დადგენილი წესის შესაბამისად;
5.14.5. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;
5.15. ასოციაციის წევრის გარიცხვის საფუძვლები:
5.15.1. ასოციაციის წესდების და ასოციაციის მმართველი ორგანოების გადაწყვეტილებების უხეში დარღვევა;
5.15.2. მოქმედებები, რომლებიც ზიანს აყენებს ასოციაციის და მისი წევრების ინტერესებს და ლახავს ასოციაციის საქმიან რეპუტაციას.
5.16. ასოციაციის ყოფილ წევრს უფლება აქვს განმეორებით შეიტანოს განაცხადი ასოციაციაში წევრობის მიღებაზე.
5.17. ასოციაციის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა - გასვლა ან გარიცხვა ასოციაციის შემადგენლობიდან, ავტომატურად არ გამორიცხავს ასოციაციის უფლებამოსილებას, მართოს უფლებამფლობელის ქონებრივი უფლებები, საავტორო და/ან მომიჯნავე უფლებების ობიექტებთან მიმართებაში.
5.18. თუ წევრი წერილობით ფორმით აცნობებს ასოციაციას მისი ქონებრივი უფლებების მართვაზე უარის შესახებ, ასოციაციის გამგეობა განიხილავს და იღებს გადაწყვეტილებას, განმცხადებლის მიერ მოთხოვნილ საკითხზე ასოციაციის მიერ დადგენილი წესების და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
5.19. ასოციაციის წევრთა რეესტრის წარმოებას უზრუნველყოფს გენერალური დირექტორი.

6. ასოციაციის მართვის ორგანოები

6.1. ასოციაციის მართვის ორგანოებია: ასოციაციის წევრთა საერთო კრება, ასოციაციის გამგეობა და ასოციაციის უფლებამფლობელთა საბჭო.
6.2. ასოციაციას ხელმძღვანელობენ:
6.2.1. ასოციაციის თავმჯდომარე;
6.2.2. გენერალური დირექტორი;
6.2.3. საერთაშორისო ურთიერთობების დირექტორი.
6.3. ასოციაციის/გამგეობის თავმჯდომარე და გენერალური დირექტორი უფლებამოსილებას ახორციელებენ დამოუკიდებლად, ცალ-ცალკე ერთპიროვნულად წესდებით გათვალისწინებული წესით. საერთაშორისო ურთიერთობების დირექტორი თავის უფლებამოსილებას ახორციელებს შეზღუდულად – ამ წესდებით განსაზღვრული წესით.
6.4. ასოციაციის მიერ კოლექტიურ საფუძველზე ქონებრივი უფლებების მართვის საქმიანობის განხორციელების კონტროლს და ზედამხედველობას, ასევე ასოციაციის საქმიანობის პროცესში წარმოშობილი სადავო საკითხების გადაწყვეტას ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭო.
6.5. ასოციაციის მმართველი ორგანოების წევრების, ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების საქმიანობის მოქმედების ძირითადი პრინციპები:
6.5.1. ასოციაციის მმართველი ორგანოების წევრები და ასოციაციის ხელძღვანელი პირები ვალდებულნი არიან წინასწარ გაამჟღავნონ ნებისმიერი გარემოება, რომელიც ქმნის ან შეიძლება შექმნას ინტერესთა კონფლიქტი.
6.5.2. ინტერესთა კონფლიქტის გამოვლენის შემთხვევაში, შესაბამისი პირი ვალდებულია თავი შეიკავოს საკითხის განხილვასა და კენჭისყრაში მონაწილეობისგან.
6.5.3. ასოციაციის საერთო კრება, ასოციაციის გამგეობა, ასოციაციის სამეთვალყურეო საბჭო და ასოციაციის უფლებამფლობელთა საბჭო მოქმედებენ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, კანონის, წინამდებარე წესდებისა და თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში.
6.5.4. არც ერთი მმართველი ორგანო არ ახორციელებს სხვა ორგანოს ფუნქციებს და არ ერევა მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს პირდაპირ გათვალისწინებულია კანონით ან წესდებით.

6.5.5. გადაწყვეტილებების მიღების პროცესი და შედეგები უნდა იყოს დოკუმენტირებული და კანონითა და წესდებით დადგენილ შემთხვევაში უფლებამოსილ პირებთან წარდგენილი.

6.5.6. ერთი და იმავე პირი არ შეიძლება ერთდროულად იყოს გამგეობის და სხვა საბჭოების და კომისიების წევრი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნული პირდაპირ არის გათვალისწინებული კანონით ან წესდებით;

6.5.7. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები არ არიან უფლებამოსილნი მიიღონ მონაწილეობა ასოციაციის ყოველდღიურ საქმიანობაში.

7. ასოციაციის წევრთა საერთო კრება

7.1. საერთო კრების მორიგი სხდომები ტარდება არანაკლებ წელიწადში ერთხელ, რომელზეც განიხილება წლიური შედეგები და წესდებით გათვალისწინებული სხვა საკითხები, ხოლო რიგგარეშე სხდომები - საჭიროებისამებრ.

7.2. ასოციაციის ყველა წევრს, როგორც პირადად ისე წარმომადგენლის მეშვეობით უფლება აქვს მიიღოს მონაწილეობა საერთო კრებაში და გააჩნია ხმის უფლება.

7.3. საერთო კრების მორიგი სხდომის მოწვევა ხდება გამგეობის ან გენერალური დირექტორის მიერ, რომელიც განსაზღვრავს საერთო კრების სხდომის თარიღს, ადგილს, დროს და დღის წესრიგს.

7.4. საერთო კრების რიგგარეშე სხდომები შეიძლება მოწვეულ იქნას გამგეობის, გენერალური დირექტორის ან ასოციაციის წევრთა არანაკლებ 1/3–ის ინიციატივით, ასევე საქპატენტის მოთხოვნით - საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

7.5. ასოციაციის წევრთა არანაკლებ 1/3–ის ან საქპატენტის მოთხოვნა რიგგარეშე კრების ჩატარების შესახებ, განსახილველად გადაეცემა ასოციაციის გამგეობას, რომელიც ვალდებულია განიხილოს მოთხოვნის მიღების დღიდან 10 (ათი) დღის ვადაში და მიიღოს გადაწყვეტილება ასოციაციის რიგგარეშე საერთო კრების ჩატარების შესახებ.

7.6. ასოციაციის რიგგარეშე საერთო კრების ჩატარების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, გამგეობა ან გენერალური დირექტორი, რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის მომთხოვნის მიერ ინიცირებული საკითხების მიხედვით, წინამდებარე წესდების 7.3 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრავს საერთო კრების სხდომის თარიღს, ადგილს, დროს და დღის წესრიგს.

7.7. შეტყობინება ასოციაციის საერთო კრების ჩატარების შესახებ, კრების დღის წესრიგთან ერთად, განთავსდება ასოციაციის ოფიციალურ ვებგვერდზე, საერთო კრების ჩატარებამდე, არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღით ადრე. ასოციაცია უფლებამოსილია გამოიყენოს შეტყობინების სხვა საშუალებები, მათ შორის, გაგზავნოს შეტყობინებები ასოციაციის წევრების ელექტრონულ ფოსტაზე, და/ან მოკლე ტექსტური შეტყობინებები ტელეფონის ნომერზე, რომელიც ასოციაციისთვის გადაცემული აქვს წევრს ან ასოციაციისთვის გახდა ცნობილი. ასოციაცია უფლებამოსილია შეტყობინების გამოსაქვეყნებლად ან შეტყობინების გასაგზავნად გამოიყენოს მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებები და ნებისმიერი სხვა ტექნოლოგიური საშუალება.

7.8. ასოციაცია უფლებამოსილია უზრუნველყოს ასოციაციის წევრთა საერთო კრებაზე დისტანციური დასწრება ელექტრონული ან სხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენებით.

7.9. საერთო კრების სათანადოდ მოწვევასა და ჩატარებაზე პასუხისმგებელია საერთო კრების მომწვევი ორგანო/პირი/პირები. საერთო კრების მიერ თავისი კომპეტენციის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების შესრულება სავალდებულოა ასოციაციის ყველა დამფუძნებლისა და მართვის ორგანოსათვის.

7.10. საერთო კრების სხდომაზე ირჩევენ კრების თავმჯდომარეს და მდივანს კრებაზე დამსწრე პირთა მიერ ხმათა უმრავლესობით. საერთო კრების მიმდინარეობას ხელმძღვანელობს კრების თავმჯდომარე. ოქმს ადგენს და ხელს აწერენ საერთო კრების თავმჯდომარე და მდივანი.

7.11. საერთო კრების თავმჯდომარის არჩევამდე ან იმ შემთხვევაში, თუ საერთო კრების თავმჯდომარე არ იქნა არჩეული და/ან უფლებამოსილება შეუწყდა, კრებას თავმჯდომარეობს ასოციაციის თავმჯდომარე ან მისი არყოფნისას – გენერალური დირექტორი.

7.12. საერთო კრება:

7.12.1. ამტკიცებს ასოციაციის საქმიანობის სტრატეგიულ მიმართულებებს (მიზნებს);

7.12.2. ირჩევს და ათავისუფლებს გამგეობის წევრებს, მათ შორის, გამგეობის თავმჯდომარეს, უფლებამფლობელთა საბჭოს წევრებს, სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს, საერთო კრების თავმჯდომარეს და მდივანს; ამტკიცებს მათი ანაზღაურების, წახალისების და როგორიცაა ფულადი და არაფულადი სარგებლისა და საპენსიო დანამატების გაცემასთან დაკავშირებულ წესს, აგრეთვე ანაზღაურებასთან დაკავშირებულ სხვა წესებს;

7.12.3. ისმენს და განიხილავს გამგეობის, უფლებამფლობელთა საბჭოს, სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობის შესახებ ანგარიშს;

7.12.4. ამტკიცებს ასოციაციის საქმიანობის გამჭვირვალობის შესახებ წლიურ ანგარიშს;

7.12.5. ამტკიცებს შეგროვებული ჰონორარების განაწილების ზოგად წესებს და პოლიტიკას;

7.12.6. ამტკიცებს გაუნაწილებელი ჰონორარების განკარგვის ზოგად წესებს და პოლიტიკას;

7.12.7. გადაწყვეტილებებს იღებს გაუნაწილებელი ჰონორარების გამოყენების შესახებ, ასოციაციის ფინანსური გეგმის გათვალისწინებით;

7.12.8. ამტკიცებს ასოციაციის წესდებას და შეაქვს მასში ცვლილებები და დამატებები; გადაწყვეტილებას იღებს ასოციაციის წევრობის წესების შესახებ;

7.12.9. გადაწყვეტილებებს იღებს ასოციაციის ლიკვიდაციასა და რეორგანიზაციასთან იურიდიული პირის დაფუძნებასა და სხვა იურიდიული პირის აქციების და/ან წილების შეძენასთან და/ან განკარგვასთან დაკავშირებულ საკითხებზე;

7.12.10. გადაწყვეტილებას იღებს ასოციაციის რისკების მართვის პოლიტიკის შესახებ;

7.12.11. გადაწყვეტილებებს იღებს უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება ან უფლებრივად დატვირთვის თაობაზე;

7.12.12. გადაწყვეტილებას იღებს ასოციაციის მიერ სესხის აღების, სესხის გაცემის, თავდებობის ან სესხის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების თაობაზე;

7.12.13. ნიშნავს და ათავისუფლებს აუდიტორს აუდიტის ჩასატარებლად;

7.12.14. გადაწყვეტილებებს იღებს კომერციული და არაკომერციული ორგანიზაციების შექმნის/რეორგანიზაციის/ლიკვიდაციის, ასევე სხვა იურიდიული პირის აქციების/წილების შეძენის თაობაზე;

7.12.15. გადაწყვეტილებებს იღებს სხვა საკითხებზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

7.13. საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება ან წარმოდგენილია ასოციაციის წევრების ან მათი წარმომადგენლების სულ მცირე ერთი მესამედი.

7.14. საერთო კრება გადაწყვეტილებას იღებს კენჭისყრით, წარმოდგენილ წევრთა უბრალო უმრავლესობით, თუ საქართველოს კანონით ან ამ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

7.15. თუ ქვორუმის არარსებობის გამო შეუძლებელია ასოციაციის წევრთა საერთო კრების ჩატარება, განმეორებითი საერთო კრება შესაძლებელია ჩატარდეს იმავე დღეს, რომელიც უფლებამოსილია მიუხედავად დამსწრე წევრთა რაოდენობისა.

7.16. საერთო კრება შეიძლება ჩატარდეს შემდეგი სახით:

7.16.1. ასოციაციის წევრების ფიზიკური დასწრებით (გამოცხადებითი ფორმა);

7.16.2. დაუსწრებელი კენჭისყრით (წინასწარ გამოკითხვის ფორმა), დოკუმენტების საფოსტო, ელექტრონული ან სხვა მსგავსი საშუალებით გაცვლის ან ელექტრონული კითხვარის ვებ-გვერდზე ან სხვა პლატფორმაზე განთავსების გზით;

7.16.3. ელექტრონული ან სხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენებით (დისტანციური ფორმა), რაც ასოციაციის წევრებს საშუალებას აძლევს განიხილონ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები და მონაწილეობა მიიღონ კენჭისყრაში, რეალური დროის რეჟიმში ვებ-გვერდის ან ელ-პლატფორმის ან სხვა ტექნოლოგიური საშუალებით;

7.16.4. კომბინირებული (შერეული) ფორმებით, ამ პუნქტით გათვალისწინებული საერთო კრების ჩატარების ერთდროულად რამდენიმე ფორმის გაერთიანებით, წესდებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

7.17. შეტყობინება (მატერიალური, ელექტრონული, მოკლე ტექსტური(მესიჯი) ან სხვა ტექნოლოგიური საშუალება) საერთო კრების ჩატარების შესახებ, დაუსწრებელი კენჭისყრის გზით (გამოკითხვის ფორმა), წინამდებარე წესდების 7.16.2 პუნქტის შესაბამისად, უნდა გაეგზავნოს ასოციაციის წევრს, საერთო კრების ჩატარებამდე არაუგვიანეს 10 (ათი) დღით ადრე.

7.18. ასოციაციის წევრებს უფლება აქვთ გაეცნონ დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებს, საჭირო ინფორმაციას და მასალებს კენჭისყრის დაწყებამდე, ასევე, მათ უფლება აქვთ შეიტანონ წინადადებები დღის წესრიგში დამატებითი საკითხების შეტანის თაობაზე. ასეთი წინადადებები წარდგენილი უნდა იყოს 7 (შვიდი) დღით ადრე საერთო კრების ჩატარებამდე.

7.19. საერთო კრების ოქმში უნდა აღინიშნოს:

7.19.1. ასოციაციის სახელწოდება და საიდენტიფიკაციო ნომერი;

7.19.2. საერთო კრების ჩატარების ადგილი და თარიღი, დაწყების და დასრულების დრო;

7.19.3. საერთო კრების მოწვევის პროცედურისა და ამ კრების გადაწყვეტილებაუნარიანობის საკითხი;

7.19.4. საერთო კრების თავმჯდომარის მონაცემები;

7.19.5. საერთო კრების დღის წესრიგი, საერთო კრების გადაწყვეტილებები, კენჭისყრის შედეგების მითითებით.

8. ასოციაციის გამგეობა

8.1. ასოციაციის გამგეობა ხელმძღვანელობს ასოციაციას, ასოციაციის საერთო კრების სხდომებს შორის პერიოდში.

8.2. საერთო კრება ირჩევს და ათავისუფლებს გამგეობის წევრებს ასევე განსაზღვრავს მათ რაოდენობას, ამასთან, წევრთა საერთო რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 9 (ცხრა) ადამიანს. გამგეობის წევრები აირჩევა 5 (ხუთი) წლის ვადით. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტი ხმა ეკუთვნის თავმჯდომარეს.

8.3. გამგეობის წევრის კანდიდატურის წამოყენების უფლებამოსილება გააჩნია ასოციაციის არანაკლებ 20 წევრისგან შემდგარ საინიციატივო ჯგუფს, გამგეობას ან მის თავმჯდომარეს.

8.4. ასოციაციის გამგეობის შემადგენლობის ფორმირებისას სხვადასხვა უფლებათა კატეგორიის პირებს უნდა ქონდეთ კანდიდატურების წარდგენის არჩევის და მასში მონაწილეობის თანაბარი შესაძლებლობა.

8.5. გამგეობის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, გამგეობის ახალ წევრს ირჩევს საერთო კრება.

8.6. გამგეობა იწყებს მისი უფლებამოსილებების განხორციელებას უშუალოდ მისი წევრების არჩევის მომენტიდან და მოქმედებს გამგეობის ახალი შემადგენლობის არჩევამდე.

8.7. გამგეობაში შეიძლება არჩეულ იქნას პირი, რომელიც არ არის ასოციაციის წევრი (მოწვეული პირი).

8.8. ასოციაციის არაწევრი მოწვეული პირისთვის განსაზღვრული მოთხოვნები:

- უმაღლესი განათლება სამართლის, ფინანსების, ეკონომიკის, კულტურის მენეჯმენტის, ინტელექტუალური საკუთრების ან სხვა შესაბამის სფეროში;
- არანაკლებ 3 წლიანი პროფესიული გამოცდილება.
- არ უნდა იყოს ასოციაციის წევრი, ასოციაციის წევრის წარმომადგენელი ან ასოციაციაში დასაქმებული პირი;
- არ უნდა იყოს ასოციაციასთან ან მის წევრებთან იმგვარ დამოკიდებულებაში, რაც ზეგავლენას ახდენს გადაწყვეტილების მიუკერძოებლად მიღებაზე;
- უნდა გააჩნდეს კარგი რეპუტაცია და პროფესიული ეთიკის მაღალი სტანდარტი;
- გადაწყვეტილების მიღების, კრიტიკული ანალიზისა და რისკების შეფასების უნარი;
- კომუნიკაციისა და თანამშრომლობის მაღალი უნარები.

8.9. გამგეობის სხდომები ტარდება საჭიროებისამებრ და მათ იწვევს გამგეობის თავმჯდომარე ან გამგეობის წევრთა 1/3. გამგეობის წევრების ინფორმირება სხდომის ჩატარების შესახებ უნდა მოხდეს 7 (შვიდი) დღით ადრე მის ჩატარებამდე, პირადად ან/და ელექტრონული -ფოსტის ან ელექტრონული კომუნიკაციის სხვა საშუალებით. გამგეობის სხდომა შესაძლოა ჩატარდეს როგორც ფიზიკური დასწრებით, ისე დისტანციურად ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებით. საბჭოს მოწვევის ამ პუნქტით გათვალისწინებული პროცედურის დაცვა არ არის სავალდებულო, თუ ყველა წევრი წერილობით დაეთანხმება/ხელს მოაწერს გადაწყვეტილებას.

8.10. გამგეობის თავმჯდომარე ამავდროულად არის ასოციაციის თავმჯდომარე.

8.11. გამგეობა გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ სხდომას ესწრება მის წევრთა ნახევარზე მეტი.

8.12. თუ ქვორუმის არარსებობის გამო შეუძლებელია ასოციაციის გამგეობის სხდომის ჩატარება, გამგეობის თავმჯდომარე 3 (სამი) დღის ვადაში ადგენს ასოციაციის გამგეობის სხდომის ახალ თარიღს. გამგეობის სხდომის ხელახლა მოწვევისას გადაწყვეტილებაუნარიანად ითვლება, მასში მონაწილე ასოციაციის გამგეობის წევრთა რაოდენობის მიუხედავად.

8.13. გამგეობის გადაწყვეტილებები მიიღება ხმათა უბრალო უმრავლესობით. ხმათა თანაბარი გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტი ხმა ეკუთვნის გამგეობის თავმჯდომარეს.

8.14. ასოციაციის გამგეობის კომპეტენციას განეკუთვნება:

8.14.1. ასოციაციის წლიური ფინანსური გეგმის და ბიუჯეტის დამტკიცება;

8.14.2. ასოციაციიდან წევრის გარიცხვასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა;

8.14.3. ასოციაციის ქონების ფორმირების და გამოყენების პრინციპების დამტკიცება;

8.14.4. ასოციაციის სტრუქტურული ქვედანაყოფების, ფილიალების, რეგიონული განყოფილებების, წარმომადგენლობების შექმნა/გაუქმება;

8.14.5. დებულების მიღება ასოციაციის ფილიალების/წარმომადგენლობებისთვის;

8.14.6. ასოციაციის აუდიტორული ანგარიშების გაცნობა და საერთო კრებისთვის რეკომენდაციების წარდგენა, საჭიროებისამებრ;

8.14.7. გენერალური დირექტორის არჩევა და გათავისუფლება. ასევე მასთან სასამსახურო ხელშეკრულების გაფორმება და შეწყვეტა;

8.14.8. გამგეობის წევრების ანაზღაურებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა, საერთო კრების მიერ გამგეობის წევრებისთვის ფულადი და არაფულადი სარგებლის და სხვა ანაზღაურების შესახებ დამტკიცებული წესის შესაბამისად;

8.14.9. შეგროვილი ჰონორარის უფლებამფლობელებს შორის განაწილებისთვის გამოთვლების შესახებ წესების დადგენა, საერთო კრებაზე დამტკიცებული პრინციპების და ჰონორარის განაწილების წესების საფუძველზე;

8.14.10. ასოციაციის თავმჯდომარის და/ან გენერალური დირექტორის მიერ გამგეობის თანხმობის გარეშე განსახორციელებელი გარიგებების მაქსიმალური თანხის განსაზღვრა;

8.14.11. ასოციაციის სახელით გადაწყვეტილებების მიღება იმ გარიგებების გაფორმების თაობაზე, რომელთა თანხაც აღემატება გამგეობის მიერ დადგენილ მაქსიმალურ თანხას. გარიგებებისთვის, რომლებიც ხელმოწერილია ასოციაციის თავმჯდომარის და/ან გენერალური დირექტორის მიერ, ასევე გარიგებებისთვის, რომლებითაც დაინტერესებულია გამგეობის ნებისმიერი წევრი;

8.14.12. გადაწყვეტილების მიღება, ასოციაციის იურიდიული მისამართის შეცვლის შესახებ;

8.14.13. ასოციაციის მიერ ჰონორარის შეგროვების, განაწილების, უფლებების მართვის საფასურის და იმ მიზნობრივი დაქვითვების, რომლებიც შეიძლება გადაირიცხოს ასოციაციის მიერ შექმნილ ფონდებში წესდებით გათვალისწინებული ზღვრული ოდენობების ფარგლებში, ოდენობ(ებ)ის დამტკიცება;

8.14.14. ასოციაციის სპეციალური მინზობრიობით შექმნილი ფონდების ხარჯების კონტროლის უზრუნველყოფა, ასოციაციის საერთო კრების გადაწყვეტილებების შესაბამისად;

8.14.15. საავტორო და მომიჯნავე უფლებამფლობელების ინტერესების და ასოციაციის მიზნების სასარგებლოდ ასოციაციის მიერ ფონდის შექმნის შემთხვევაში,

შეგროვებული ჰონორარიდან ასოციაციის გამგეობის მიერ დამტკიცებული ოდენობით ყოველთვიურად ფონდში გადარიცხვა.

8.15. არის რა, ასოციაციის მუდმივმოქმედი მმართველი ორგანო, გამგეობას გააჩნია უფლებები, რომლებსაც მას ანიჭებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა და წინამდებარე წესდება, მათ შორის, იურიდიული პირის უფლებების განხორციელება, ასოციაციის სახელით და მისი მოვალეობების შესრულება, წინამდებარე წესების შესაბამისად.

8.16. გამგეობის/ასოციაციის თავმჯდომარეს ირჩევს ასოციაციის საერთო კრება გამგეობის შემადგენლობასთან ერთად 5 (ხუთი) წლის ვადით.

8.17. ერთი და იგივე პირი შეიძლება არჩეულ იქნას ასოციაციის თავმჯდომარედ, ზედიზედ არაუმეტეს 2 (ორი) ვადისა.

8.18. თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, გამგეობის თავმჯდომარეს ირჩევს ასოციაციის საერთო კრება. კრების ჩატარებამდე გამგეობის თავმჯდომარის უფლებამოსილებას ახორციელებს გამგეობის ერთ–ერთი წევრი, რომელსაც ირჩევს გამგეობა.

8.19. გამგეობის/ასოციაციის თავმჯდომარე:

8.19.1. მინდობილობის გარეშე წარმოადგენს ასოციაციას სახელმწიფო და სხვა ორგანიზაციებში, სასამართლო და სხვა ორგანოებში, მათ შორის, საერთაშორისო ორგანიზაციებში;

8.19.2. მართავს ასოციაციის ქონებას და ფულად სახსრებს, გამგეობასთან შეთანხმებით, წყვეტს ამოცანებს, რომლებიც უკავშირდება ასოციაციის მუშაობას, დაფინანსებას და მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას, ასევე, ზემოთ აღნიშნული მიზნებისთვის ასოციაციის სახელით ხელს აწერს ხელშეკრულებებს;

8.19.3. იწვევს გამგეობის სხდომებს, ამზადებს გამგეობის სხდომაზე განსახილველ საკითხებს;

8.19.4. ხელმძღვანელობს სხდომების მიმდინარეობას;

8.19.5. საჭიროების შემთხვევაში იწვევს სპეციალისტებს, მათ შორის, უცხოელებს, კონსულტაციების, სასამართლო საქმეების წარმოების და სხვა ამოცანების შესრულებისთვის;

8.19.6. ხელს აწერს და ამტკიცებს გამგეობის დოკუმენტებს, მათ შორის, გამგეობის ოქმს. ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში - პირი, რომელსაც ირჩევს ამავე კრებაზე გამგეობის დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი;

8.19.7. ყოველწლიურად წარუდგენს საერთო კრებას ანგარიშებს, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის, ანგარიშებს, რომლებიც შეიცავს ინფორმაციას წინა ფინანსური წლის განმავლობაში ასოციაციისგან მიღებული ჰონორარის შესახებ, ასევე, გაუნაწილებელი ჰონორარის შესახებ;

8.19.8. ახორციელებს წინამდებარე წესდებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს, იმ უფლებამოსილებების გარდა, რომლებიც შედის ასოციაციის სხვა ორგანოების კომპეტენციაში.

8.20. ასოციაციის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში ავადმყოფობის, შვებულების ან სხვა მიზეზების გამო, რის გამოც ის ვერ ასრულებს ასოციაციის თავმჯდომარის უფლება-მოვალეობებს, მის ფუნქციებს ასრულებს თავმჯდომარის მიერ დანიშნული პირი.

8.21. ასოციაციის თავმჯდომარის უფლებამოსილება წყდება, ახალი თავმჯდომარის არჩევისთანავე.

9. ასოციაციის უფლებამფლობელთა საბჭო

9.1. უფლებამფლობელთა საბჭოს წევრებს ირჩევს ასოციაციის საერთო კრება 5 (ხუთი) წლის ვადით, მათ რიცხვს განსაზღვრავს საერთო კრება, მაგრამ არაუმეტეს 25 (ოცდახუთი) წევრისა.

9.2. უფლებამფლობელთა საბჭოს კანდიდატურის წამოყენების უფლებამოსილება გააჩნია ასოციაციის არანაკლებ 20 წევრისგან შემდგარ საინიციატივო ჯგუფს და/ან გამგეობას.

9.3. უფლებამოსილებების ვადის გასვლის შემდეგ და/ან წევრის უფლებამოსილებების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, უფლებამფლობელთა საბჭოს ახალ წევრებს ირჩევს საერთო კრება.

9.4. უფლებამფლობელთა საბჭო წარმოადგენს უფლებამფლობელების სხვადასხვა კატეგორიებს (კომპოზიტორებს, პოეტებს, შემსრულებლებს, დრამატურგებს, ქორეოგრაფებს, ფონოგრამების მწარმოებლებს და ა.შ.) ასოციაციის წევრების რიცხვიდან.

9.5. უფლებამფლობელთა საბჭო ატარებს სხდომებს საჭიროების მიხედვით, საბჭოს თავმჯდომარის მოწვევით ან წევრთა არანაკლებ ორი მესამედის მოთხოვნით.

9.6. ახლად არჩეული უფლებამფლობელთა საბჭო პირველ სხდომას ატარებს არჩევიდან ერთი თვის ვადაში. უფლებამფლობელთა საბჭოს პირველ სხდომას იწვევს ასოციაციის მოქმედი თავმჯდომარე. ასოციაციის უფლებამფლობელთა საბჭოს წევრების ინფორმირება სხდომის შესახებ უნდა მოხდეს 7 დღით ადრე, მის ჩატარებამდე, პირადად ან/და ელექტრონული კავშირგაბმულობის მეშვეობით. უფლებამფლობელთა საბჭოს სხდომა შესაძლოა ჩატარდეს როგორც ფიზიკური დასწრებით ისე დისტანციურად ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებით. საბჭოს მოწვევის ამ პუნქტით გათვალისწინებული პროცედურის დაცვა არ არის სავალდებულო, თუ ყველა წევრი წერილობით დაეთანხმება/ხელს მოაწერს გადაწყვეტილებას.

9.7. უფლებამფლობელთა საბჭოს თავმჯდომარის და უფლებამფლობელთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევა ხდება ახლად არჩეული საბჭოს პირველ სხდომაზე საერთო კრების მიერ არჩეული უფლებამფლობელთა საბჭოს შემადგენლობიდან.

9.8. ასოციაციის უფლებამფლობელთა საბჭოს კომპეტენციაში შედის:

9.8.1. უფლებამფლობელთა საბჭოს თავმჯდომარის, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევა, მისი საკუთარი შემადგენლობიდან, საბჭოს უფლებამოსილების ვადით;

9.8.2. ტარიფების და ასოციაციის მიერ სხვადასხვა კატეგორიის უფლებამფლობელებთან და მოსარგებლეებთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ტიპობრივი ფორმების დამტკიცება;

9.8.3. დამტკიცებული ტარიფების მიუღებლობის შესახებ მოსარგებლეების/ჰონორარის გადამხდელების განცხადებების განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება;

9.8.4. გადაწყვეტილებების მიღება ასოციაციასთან გაფორმებული სალიცენზიო ხელშეკრულებების შესაბამისად მოსარგებლეების მიერ გადასახდელი ტარიფების ოდენობის ცვლილების, ასევე, ასოციაციის მიერ ჰონორარის გადახდის თაობაზე ხელშეკრულებების შესაბამისად შესაგროვებელი ტარიფების ზომის ცვლილების შესახებ;

9.8.5. ასოციაციის სიმბოლიკის დამტკიცება.

9.9. უფლებამფლობელთა საბჭოს მიერ არჩეული პირების უფლებამოსილებების მოქმედება იწყება მათი არჩევის მომენტიდან და გრძელდება დადგენილი წესით მათ შეწყვეტამდე. უფლებამფლობელთა საბჭოს წევრთა უფლებამოსილება გრძელდება ახალი წევრების არჩევამდე.

9.10. უფლებამფლობელთა საბჭოს სხდომა გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მასში მონაწილეობას იღებს საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტი.

9.11. თუ ქვორუმის არარსებობის გამო შეუძლებელია ასოციაციის უფლებამფლობელთა საბჭოს სხდომის ჩატარება, ასოციაციის უფლებამფლობელთა საბჭოს თავმჯდომარე 2 (ორი) დღის ვადაში განსაზღვრავს ასოციაციის უფლებამფლობელთა საბჭოს სხდომის ახალ თარიღს. ასოციაციის უფლებამფლობელთა საბჭოს განმეორებით სხდომაზე იგი გადაწყვეტილებაუნარიანად ითვლება, მიუხედავად მასში მონაწილე უფლებამფლობელთა საბჭოს წევრთა რაოდენობისა.

9.12. უფლებამფლობელთა საბჭოს გადაწყვეტილებები მიიღება სხდომაში მონაწილე საბჭოს წევრების ხმათა უბრალო უმრავლესობით. ხმის გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა.

9.13. უფლებამფლობელთა საბჭოს სხდომების მოწვევის და ჩატარების წესებს განსაზღვრავს საბჭოს თავმჯდომარე.

9.14. უფლებამფლობელთა საბჭოს გადაწყვეტილებები ფორმდება ოქმების სახით, მათ ხელს აწერს საბჭოს თავმჯდომარე.

9.15. უფლებამფლობელთა საბჭოს თავმჯდომარე:

9.15.1. იწვევს და ხელმძღვანელობს უფლებამფლობელთა საბჭოს სხდომას;

9.15.2. ახდენს საერთო კრების ინფორმირებას უფლებამფლობელთა საბჭოს საქმიანობის შესახებ;

9.15.3. ხელს აწერს უფლებამფლობელთა საბჭოს დოკუმენტებს;

9.15.4. უზრუნველყოფს მოქმედი კანონმდებლობისა და წინამდებარე წესდების შესაბამისად უფლებამოსილებათა განხორციელებას;

9.16. ასოციაციის უფლებამფლობელთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე უზრუნველყოფს ასოციაციის საბჭოს თავმჯდომარის ფუნქციების შესრულებას მისი არყოფნისას.

9.17. ასოციაციის უფლებამფლობელთა საბჭო ახორციელებს საერთო კრების ან გამგეობის გადაწყვეტილებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებას.

10. დირექტორატი

10.1. ასოციაციის გენერალური დირექტორი ახორციელებს ასოციაციის საქმიანობის ხელმძღვანელობას და წარმოადგენს მის ინტერესებს იგი აირჩევა ასოციაციის გამგეობის მიერ და ექვემდებარება მას.

10.2. გენერალური დირექტორი ახორციელებს შემდეგ უფლებამოსილებებს:

10.2.1. მოქმედებს ასოციაციის სახელით, მინდობილობის გარეშე. ახორციელებს ასოციაციის, მისი სტრუქტურული ქვედანაყოფების საქმიანობის ხელმძღვანელობას;

10.2.2. ახორციელებს ასოციაციის საერთო კრების, გამგეობის და უფლებამფლობელთა საბჭოს გადაწყვეტილებების შესრულების ორგანიზებას და კონტროლს;

10.2.3. მართავს ასოციაციის ქონებრივ და ფულად სახსრებს გამგეობის მიერ დამტკიცებული ფინანსური გეგმის ფარგლებში, წყვეტს ამოცანებს, რომლებიც დაკავშირებულია ასოციაციის მუშაობასთან, დაფინანსებასთან და მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფასთან, აფორმებს ხელშეკრულებებს და ახორციელებს სხვა ოპერაციებს, მისი უფლებამოსილებების ფარგლებში, წყვეტს საორგანიზაციო-სამმართველო და ფინანსურ-ეკონომიკურ საკითხებს;

10.2.4. განსაზღვრავს თანამშრომელთა ხელფასს, ბონუსების და დანამატების თაობაზე საკითხებს;

10.2.5. სამსახურში იღებს და ათავისუფლებს ასოციაციის თანამშრომლებს, მათ შორის, აფორმებს შრომით ხელშეკრულებებს ასოციაციის თანამშრომლებთან და ამტკიცებს მათ თანამდებობრივ ინსტრუქციებს, უფლება აქვს გასცეს ბონუსები თანამშრომლებზე, დამსახურების მიხედვით, იყენებს დისციპლინარულ ზომებს, ნიშნავს თანამდებობაზე და ათავისუფლებს წარმომადგენლობების, ფილიალების და რეგიონული ქვედანაყოფების ხელმძღვანელებს, საკუთარი შეხედულებებისამებრ, ახდენს მათთვის უფლებების დელეგირებას, წარმომადგენლების, ფილიალების და რეგიონული ქვედანაყოფების თანამშრომლების სამსახურში მიღებასთან და გათავისუფლებასთან დაკავშირებით;

10.2.6. აფორმებს ხელშეკრულებებს ასოციაციის სახელით, მათ შორის, კოლექტიურ საფუძველზე, უცხოურ ორგანიზაციებთან, გასცემს მინდობილობებს, უფლებების მართვისთვის;

10.2.7. წარმოადგენს ასოციაციას სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებსა და ორგანიზაციებში;

10.2.8. საჭიროების შემთხვევაში, იწვევს შესაბამის სპეციალისტებს, მათ შორის, უცხოელებს, კონსულტაციების, სასამართლო საქმეების წარმოების და სხვა ამოცანების შესრულების მიზნით;

10.2.9. განსახილველად და დასამტკიცებლად წარუდგენს ასოციაციის უფლებამფლობელთა საბჭოს, იმ ხელშეკრულებების ფორმებს, რომლებიც უნდა გაფორმდეს უფლებამფლობელების სხვადასხვა კატეგორიებთან, ასევე საავტორო და მომიჯნავე

უფლებების ობიექტების მოსარგებლეებთან და პირებთან ვინც უზრუნველყოფს ჰონორარის გადახდას;

10.2.10. ასოციაციის უფლებამფლობელთა საბჭოსთვის ამზადებს წინადადებებს, ჰონორარების შესახებ, რომლებიც მოსარგებლეებმა უნდა გადაიხადონ ასოციაციის მიერ გაფორმებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებით;

10.2.11. დასამტკიცებლად წარუდგენს ასოციაციის გამგეობას ორგანიზაციის ფინანსური გეგმის (წლიური ბიუჯეტის) პროექტს;

10.2.12. პერიოდულად წარუდგენს ასოციაციის წევრებს ანგარიშებს უფლებამფლობელებისთვის, სხვა დაინტერესებული პირებისთვის. ინფორმაციის წარდგენის წესი განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

10.2.13. უზრუნველყოფს ასოციაციის წევრების ინფორმირებას ასოციაციის საქმიანობის შესახებ;

10.2.14. უზრუნველყოფს ასოციაციის წევრების რეესტრის წარმოებას;

10.2.15. იღებს გადაწყვეტილებებს პირის ასოციაციაში გაწევრიანებასთან და მისი წევრობის შეწყვეტასთან დაკავშირებით;

10.2.16. ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს, რომლებიც არ შედის ასოციაციის სხვა ორგანოების ან ხელმძღვანელ პირთა კომპეტენციაში.

10.3. საერთაშორისო ურთიერთობების დირექტორი აირჩევა ასოციაციის გამგეობის მიერ, კონტროლდება გამგეობის მიერ და ახორციელებს შემდეგ უფლებამოსილებებს:

10.3.1. ზრუნავს ასოციაციის საერთაშორისო კავშირების დამყარებაზე, როგორც ანალოგიურ ორგანიზაციებთან, ისე სხვადასხვა სუბიექტებთან (ქოლგა ორგანიზაციები, გაერთიანებები, უფლებამფლობელთა კავშირები და სხვ);

10.3.2. აწარმოებს მოლაპარაკებებს საერთაშორისო კავშირების გასამყარებლად;

10.3.3. წარუდგენს რეკომენდაციებს გამგეობას საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ;

10.3.4. გენერალური დირექტორის თანხმობით წარმოადგენს ასოციაციას საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით, მათ შორის იძიებს და აწარმოებს მოლაპარაკებებს უცხო ქვეყნის ანალოგიურ ორგანიზაციებთან მათთან ხელშეკრულებების გაფორმების მიზნით.

11. სამეთვალყურეო საბჭო

11.1. სამეთვალყურეო საბჭო იქმნება კანონის და ასოციაციის წესდებით გათვალისწინებული უფლებამოსილებების შესაბამისად განხორციელების კონტროლის მიზნით.

11.2. სამეთვალყურეო საბჭო წესდების 11.1. პუნქტით გათვალისწინებულ უფლებამოსილებას ახორციელებს კანონით დადგენილი წესით და ფარგლებში.

11.3. სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში შეიძლება არჩეულ იქნენ პირები, რომელთა პროფესიული გამოცდილება მათ მიერ ეფექტიანი საზედამხედველო ფუნქციების განხორციელების შესაძლებლობას იძლევა, მიუხედავად იმისა, არიან თუ არა ისინი ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის წევრები. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები აირჩევა საერთო კრების მიერ 5 წლის ვადით. მათი რაოდენობა განისაზღვრება საერთო კრების მიერ მაგრამ არაუმეტეს 9 (ცხრა) წევრისა.

11.4. სამეთვალყურეო საბჭო ანგარიშვალდებულია საერთო კრების წინაშე, რომელსაც სულ მცირე წელიწადში ერთხელ დასამტკიცებლად წარუდგენს ანგარიშს საკუთარი საქმიანობის შესახებ.

11.5. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ვალდებული არიან საერთო კრებას წარუდგინონ ინფორმაცია არსებული ან სავარაუდო ინტერესთა კონფლიქტის შესახებ, რომელმაც სამომავლოდ შეიძლება შეაფერხოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრების მიერ უფლებამოსილებების განხორციელება.

11.6. ასოციაციის წევრებს, რომლის უფლებებსაც ურთიერთწარმომადგენლობის ხელშეკრულების საფუძველზე მართავს ასოციაცია, უფლება აქვთ, სამეთვალყურეო საბჭოს ჩართულობის, დახმარების ან/და დავის გადაწყვეტის მიზნით მიმართონ ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც შეეხება ასოციაციის აკრედიტაციას, ხელშეკრულების შეწყვეტას ან უფლებების გამოთხოვას, წევრობის პირობებს, აგრეთვე

ჰონორარების შეგროვებას, განაწილებას ან/და მიზნობრივ დაქვითვას. მოთხოვნილ მიმართვას სამეთვალყურეო საბჭო განიხილავს დაუყოვნებლივ.

11.7. ასოციაციის არაწევრ პირებს, რომელთა უფლებების ან უფლებათა კატეგორიების მართვასაც ახორციელებს ასოციაცია სამეთვალყურეო საბჭოს ჩართულობის, დახმარების ან/და დავის გადაწყვეტის მიზნით მიმართონ ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც შეეხება ჰონორარების შეგროვებას, განაწილებას ან/და მიზნობრივ დაქვითვას.

11.8. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია ვალდებულია 11.6. და 11.7 პუნქტებით წარდგენილ ყველა საჩივარს ან მოთხოვნას უპასუხოს წერილობით. ასოციაციის უარი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უნდა იყოს დასაბუთებული.

11.9. სამეთვალყურეო საბჭო ვალდებულია წესდების 11.6. პუნქტით გათვალისწინებული დავა გადაწყვიტოს მხარეთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და იმოქმედოს სამართლიანად და მიუკერძოებლად. დავის გადაწყვეტის პროცესის მონაწილე თითოეული მხარე ვალდებულია იმოქმედოს კეთილსინდისიერად.

11.10. ამ მუხლის 11.6. პუნქტის შესაბამისად წარმოშობილი დავა შეწყდება, თუ:

ა) მხარეებმა ხელი მოაწერეს მორიგების შეთანხმებას;

ბ) ნებისმიერი მხარე სამეთვალყურეო საბჭოს გაუგზავნის შეტყობინებას ნებისმიერ დროს, მას შემდეგ, რაც იგი ამ მუხლის 11.8. პუნქტის შესაბამისად, მიიღებს სამეთვალყურეო საბჭოს შეტყობინებას, რომ მხარეს აღარ სურს დავის გაგრძელება;

გ) სამეთვალყურეო საბჭოს შეფასებით, საკითხი ვერ გადაწყდება ამ მუხლის 11.6. პუნქტის საფუძველზე წარმოშობილი დავის ფარგლებში, რის თაობაზედაც მხარეებს ეგზავნებათ დასაბუთებული წერილობითი შეტყობინება;

დ) ამოიწურა საქმისწარმოებისთვის დაწესებული თავდაპირველი და დამატებითი ვადები, რის თაობაზედაც მხარეებს ეგზავნებათ წერილობითი შეტყობინება.

11.11. ამ მუხლის 11.6. პუნქტის შესაბამისად დავის განხილვა არ ართმევს მხარეს უფლებას, მიმართოს სასამართლოს.

11.12. დავის გადაწყვეტის პროცესში, სამეთვალყურეო საბჭოს უფლება აქვს გამგეობის წევრებს და/ან ნებისმიერ თანამშრომელს მოსთხოვოს ახსნა-განმარტებები. სამეთვალყურეო საბჭო ვალდებულია გადაწყვეტილების მიღებამდე შეისწავლოს წლიური ანგარიში და საბუღალტრო დოკუმენტები.

11.13. სამეთვალყურეო საბჭო, მისი შემადგენლობიდან, მისი უფლებამოსილებების ვადით, ირჩევს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს, 5 (ხუთი) წლის ვადით. პირი, რომელიც ახორციელებს ასოციაციის უფლებამფლობელთა საბჭოს ან გამგეობის უფლებამოსილებებს, არ შეიძლება იყოს ორგანიზაციის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.

11.14. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები ტარდება საჭიროებისამებრ და მათ იწვევს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე. სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ინფორმირება სხდომის ჩატარების შესახებ უნდა მოხდეს 7 (შვიდი) დღით ადრე მის ჩატარებამდე, პირადად ან/და ელექტრონული ფოსტის ან ელექტრონული კომუნიკაციის სხვა საშუალებით. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა შესაძლოა ჩატარდეს როგორც ფიზიკური დასწრებით ისე დისტანციურად ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებით. საბჭოს მოწვევის ამ პუნქტით გათვალისწინებული პროცედურის დაცვა არ არის სავალდებულო, თუ ყველა წევრი წერილობით დაეთანხმება/ხელს მოაწერს გადაწყვეტილებას.

11.15. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე:

11.15.1. ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭოს ხელმძღვანელობას;

11.15.2. მოახსენებს ასოციაციის საერთო კრებას ასოციაციის საქმიანობის შესახებ;

11.15.3. ხელმძღვანელობს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომებს;

11.15.4. ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს, რომლებიც არ ეწინააღმდეგება წესდებას და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.

11.16. სამეთვალყურეო საბჭოს წევრის უფლებამოსილებები შეიძლება შეწყდეს ვადამდე, მათ შორის, მის მიერ უფლებამოსილებების ნებაყოფლობით უარის თქმის შემთხვევაში, ასოციაციის საერთო კრების გადაწყვეტილებით. ასოციაციის სამეთვალყურეო საბჭოს

წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, ასოციაციის საერთო კრება, სამეთვალყურეო საბჭოს წარდგინებით, იღებს გადაწყვეტილებას გათავისუფლებულ თანამდებობაზე ასოციაციის სამეთვალყურეო საბჭოს ახალი წევრის დანიშვნის თაობაზე.

11.17. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მასში მონაწილეობას იღებს სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტი. თუ ქვორუმის არარსებობის გამო შეუძლებელია ასოციაციის სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ჩატარება, ასოციაციის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე 5 (ხუთი) დღის ვადაში განსაზღვრავს ასოციაციის სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ახალ თარიღს. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ხელახლა მოწვევისას იგი გადაწყვეტილებაუნარიანად ითვლება, მასში მონაწილე სამეთვალყურეო საბჭოს წევრების რაოდენობის მიუხედავად.

11.18. სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე გადაწყვეტილებები მიიღება სხდომაზე დამსწრე სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით.

11.19. სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებები აისახება ოქმში, რომელსაც ხელს აწერს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე.

11.20. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში, მის უფლებამოსილებებს ახორციელებს კონკრეტულ სხდომაზე არჩეული პირი.

12. ასოციაციის სტრუქტურა

12.1. ასოციაციის სტრუქტურაში შეიძლება შედიოდეს ფილიალები და წარმომადგენლობები, ასევე რეგიონული ქვედანაყოფები.

12.2. ასოციაციის რეგიონული ქვედანაყოფები შესაძლოა შეიქმნას საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში საჭიროებისამებრ, ასოციაციის გამგეობის გადაწყვეტილების საფუძველზე.

12.3. რეგიონული ქვედანაყოფები იქმნება და ფუნქციონირებს იურიდიული პირის სტატუსის გარეშე.

12.4. ასოციაციის ფილიალები და წარმომადგენლობები ასოციაციის განცალკევებული ქვედანაყოფებია და არ წარმოადგენს იურიდიულ პირებს.

12.5. ფილიალების და წარმომადგენლობების დებულებები მტკიცდება ასოციაციის გამგეობის მიერ.

13. ასოციაციის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

13.6. ასოციაციის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13.7. ასოციაციის ლიკვიდაციის და/ან რეორგანიზაციის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საერთო კრება.

13.8. ასოციაციის ლიკვიდაციის პროცესს აკონტროლებს ასოციაციის გამგეობა, ან სალიკვიდაციო მმართველი, დანიშნული კანონმდებლობის შესაბამისად.

13.9. ასოციაციის საერთო კრების გადაწყვეტილების საფუძველზე ასოციაციის ლიკვიდატორმა ლიკვიდაციის დროს:

13.9.1. უნდა დაამთავროს ასოციაციის სახელით დადებული გარიგებები;

13.9.2. მოახდინოს ქონების ინვენტარიზაცია და შეაფასოს იგი;

13.9.3. რეალიზაციიდან მიღებული ამონაგებით დაფაროს კრედიტორთა მოთხოვნები;

13.9.4. განახორციელოს ლიკვიდაციისთვის სხვა მოთხოვნები.

13.10. ასოციაციის ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონება (ასეთი არსებობისას) განაწილდება, კანონმდებლობის შესაბამისად.

13.11. სასამართლოს შეუძლია დანიშნოს ლიკვიდაციის განმახორციელებელი პირი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.

14. დასკვნითი დებულებები

14.1. თუ ამ წესდების რომელიმე დებულება ეწინააღმდეგება კანონს, მოქმედებს კანონის ნორმები.

14.2. ამ წესდების რომელიმე დებულების ბათილად ცნობა გავლენას არ მოახდენს წესდების სხვა დებულებების ნამდვილობაზე.

14.3. წესდების დებულებებს შორის წინააღმდეგობის არსებობის შემთხვევაში გამოყენებული უნდა იქნას ის დებულებები, რომელიც სპეციალურად აწესრიგებს მოცემულ საკითხს.